

**ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან
აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე**

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო ირაკლი,

წინამდებარე ზოგად წინადადებაში მითითებული გამონათქვამები, უმეტეს შემთხვევაში, საქართველოს VIII მოწვევის პარლამენტის წევრებს ეკუთვნის, თუმცა, საკითხის სენსიტიურობის გათვალისწინებით და მოქმედი და მომავალი პარლამენტარების მხრიდან მსგავსი გამონათქვამების მომავალში თავიდან აცილების მიზნით, სახალხო დამცველი მიზანშეწონილად მიიჩნევს, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ზოგადი წინადადებით მიმართოს საქართველოს პარლამენტს.

2016 წლის 4 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს, სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევებზე შესაბამისი რეაგირების მოთხოვნით, განცხადებით მიმართა მოქალაქე მ. -მ. განმცხადებლის განმარტებით, 2016 წლის 3 თებერვალს საქართველოს პარლამენტის წევრმა „...გოგი თოფაძემ პარლამენტის სხდომაზე დამაკნინებელ და შეურაცხმყოფელ კონტექსტში მოიხსენია დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები...“, ხოლო პარლამენტარმა თამაზ მეჭიაურმა კი, ამ სინდრომის მქონე ადამიანებს „ავადმყოფები“ უწოდა.

განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტები შეურაცხყოფენ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების ღირსებას და საზოგადოებაში აძლიერებენ ჯერ კიდევ ღრმად გამჯდარ, უარყოფით სტერეოტიპებს და სტიგმას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი საქართველოს სახალხო დამცველისაგან ითხოვს ამ შემთხვევების, როგორც შესაძლო დისკრიმინაციის ფაქტების შესწავლას და მათზე სათანადო რეაგირებას.

1. საქართველოს სახალხო დამცველის კომპეტენცია დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფის სფეროში

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი. იმავე

მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახალხო დამცველი ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. მე-3 მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით.

ამდენად, კანონის თანახმად, სახალხო დამცველი ზოგად წინადადებას გამოცემს იმ შემთხვევებში როდესაც ადგილი აქვს დისკრიმინაციის წახალისებას ან უარყოფითი სტერეოტიპების და სტიგმის გაძლიერების ხელშეწყობას.

2. განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი, მის მიერ სადავოდ გამხდარი, შესაძლო დისკრიმინაციის შემთხვევებში გულისხმობს მოვლენებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 2016 წლის 3 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების მოსმენის შემდეგ, კერძოდ, პარლამენტის წევრის – გოგი თოფაძის სიტყვით გამოსვლისას, როდესაც მან, ტერმინი „დაუნი“ მოიხსენია უარყოფით კონტექსტში. განმცხადებლის აზრით, დისკრიმინაციულია, ასევე, საქართველოს პარლამენტის სხვა წევრის, თამაზ მეჭიაურის განცხადებაც, რომლითაც იგი გამოეხმაურა გოგი თოფაძის გამოსვლას და დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები მოიხსენია, როგორც „ავადმყოფები“.

2016 წლის 3 თებერვალს გამართულ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას, პარლამენტის წევრმა – გოგი თოფაძემ აღნიშნა: „ქართველი ხალხი თქვენ დაუნებს შეადარეთ, ძალიან სამწუხაროა, რომ თქვენ ასე აფასებთ საქართველოს მოქალაქეებს, მაშინ, არც პრეზიდენტობა უნდა გეკადრათ საქართველოსი“.¹ მოგვიანებით, გოგი თოფაძემ, თავის გამოსვლასთან დაკავშირებით განმარტა: „შეიძლება, მე ტერმინოლოგია „დაუნი“, „დებილი“ შემეშალა, მაგრამ, აი დებილობაზეა ლაპარაკი აქ, ამაზე არ უნდა ავაგოროთ ჩვენ... მე შეიძლება შემეშალა, მაგრამ პრინციპი რა არის - დაუნობა უფრო მსუბუქია, ვიდრე აქ [გიორგი მარგველაშვილის 2001 წელს გამოქვეყნებული სტატია „ნიჩურტა“] როგორც დებილობაზეა ლაპარაკი. მე კიდევაც განვაცხადე, რომ თუ არ ვიყავი სწორი ან სწორად არ გამოვთქვი, დაუნობა არა, დებილობა, შეიძლება, ამაზე მე კი ბოდიში მოვუხადე ხალხს, ვინმეს არ ეგონოს რომ მე ამ ავადმყოფებს ვგულისხმობ, მე სწორედ ვგულისხმობ მის [პრეზიდენტის] ხედვას საქართველოს ხალხის გონებრივ პოტენციალზე.“²

2016 წლის 4 თებერვალს, პარლამენტის წევრმა თამაზ მეჭიაურმა, გოგი თოფაძის გამოსვლის კომენტარებისას, აღნიშნა: „მარგველაშვილის ძველ ნაშრომებს გადავხედე, სადაც დაუნი გაცილებით უფრო ცუდ კონტექსტში აქვს მოხსენიებული, რადგან დაუნი არის ავადმყოფობა და ის

¹ <http://liberali.ge/news/view/20647/bodishs-vikhdi--gogi-tofadze-gantskhadebas-avrtselebs>,

<http://liberali.ge/news/view/20616/video-gogi-tofadze-prezidents-qartveli-khalkhi-tqven-daunebs-sheadaret>

² <http://www.tabula.ge/ge/verbatim/104353-tofadze-daunoba-ufro-msubuqia-vidre-debiloba-prezidenti-debilobaze-saubrobd>

არ არის ადამიანისთვის შეურაცხყოფელი, მაგრამ დებილიზმი უკვე შეურაცხყოფაა და თუ გოგი თოფაძეს ამის თქმა უნდოდა, მაშინ შეიძლება, მისი კრიტიკა უფრო მკვეთრი ყოფილიყო.³

საგულისხმოა, რომ საქართველოს სახალხო დამცველი, ზემოაღნიშნულ შემთხვევებს, შესაბამისი განცხადებით, ჯერ კიდევ 2016 წლის 4 თებერვლს გამოეხმაურა. სახალხო დამცველის განცხადების თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების „...მიმართ სტიგმისა და სტერეოტიპების შემცველი დამოკიდებულება საზოგადოებაში მყარად არის გამჯდარი. ბევრი მათგანი იზოლირებული და გარიყულია სოციალურიდან, რის გამოც ისინი ხშირად ხდებიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის დროს.“სახალხო დამცველის განცხადებით, „...განსაკუთრებით შემამფოთებელია პოლიტიკოსებისა და საზოგადოების ცნობილი სახეების მხრიდან სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები, რომლებიც კიდევ უფრო ამძლავრებენ არსებულ სტერეოტიპებს და ხელს უწყობენ არასწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.“ „...ტერმინი დაუნი არ შეიძლება გამოიყენებოდეს დამაკნინებელ სიტყვად. დაუნის სინდრომი არ არის დაავადება, ის არის გენეტიკური ცვლილება, რომელიც წარმოშობს სხვადასხვა სახის მახასიათებლებს.“⁴

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ სიტყვა „დაუნის“ უარყოფით კონტექსტში, როგორც სხვა ადამიანის დამცირების ფორმის გამოყენება, განსაკუთრებით პოლიტიკოსის მიერ პარლამენტში საჯარო გამოსვლისას, ლახავს ამ სინდრომის მქონე ადამიანების ღირსებას და შეურაცხყოფს მათ.

3. სამართლებრივი ანალიზი

იმისათვის, რომ განმცხადებლის მიერ სადავოდ გამხდარ ფაქტებს მიეცეთ სწორი სამართლებრივი შეფასება, მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ სავარაუდო დისკრიმინაციის წამახალისებელი განცხადებების შინაარსის, არამედ, ასევე ამ განცხადებების ავტორთა პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის და იმ კონტექსტის გაანალიზება, რომელშიც აღნიშნული განცხადებები გაკეთდა.

ა. სადავოდ გამხდარი განცხადებების შინაარსი და ის პოლიტიკურ-სამართლებრივი კონტექსტი, რომლის ფონზეც გაკეთდა განცხადებები

როგორც უკვე აღინიშნა, განმცხადებელი ითხოვს საქართველოს პარლამენტის წევრების – გოგი თოფაძისა და თამაზ მეჭიაურის იმ განცხადებების სამართლებრივ შეფასებას, რომლებშიც დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები მოხსენიებული არიან შეურაცხყოფელი ფორმით, მათ შორის, როგორც „ავადმყოფები“.

³ <http://news.ge/ge/news/story/168469-tamaz-mechiauri-dauni-aris-avadmyofoba-rats-adamianistvis-sheuratskhmyofeli-ar-aris>

⁴ <http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelis-gancxadeba-saqartvelos-parlamentis-wevr-is-gogi-tofadzis-gamosvlstan-dakavshirebit.page>

მიუხედავად იმისა, რომ სადავო განცხადებების ავტორების მიზანს, შესაძლოა არ წარმოადგენდა უშუალოდ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების შეურაცხყოფა, მიგვაჩნია, რომ მათი შეფასებები ეფუძნება ამ სინდრომის მქონე ადამიანების შესახებ საზოგადოებაში არსებულ არასწორ წარმოდგენებს, რაც განაპირობებს უარყოფით სტერეოტიპებსა და სტიგმებს. სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ დაუნის სინდრომი არ არის დაავადება, იგი წარმოადგენს გარკვეული გენეტიკური ცვლილების საფუძველზე ჩამოყალიბებული მახასიათებლების ერთობლიობას.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებაში კვლავ ძლიერად არის გამჯდარი არა მხოლოდ ამ სინდრომის მქონე ადამიანების, არამედ, ნებისმიერი განსხვავებული ადამიანისადმი უარყოფითი სტერეოტიპების საფუძველზე ჩამოყალიბებული არასწორი და დამამცირებელი დამოკიდებულება.

უარყოფითი სტერეოტიპები და სხვადასხვა კლიშეები, რომლებიც განაპირობებენ სტიგმას, წარმოადგენენ ობიექტურ რეალობასთან წინააღმდეგობაში მყოფ სოციალურ რეალობას. იმ პირობებში, როდესაც ადამიანის ღირსების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტი გულისხმობს სოციალურ მოთხოვნილებას ადამიანის პატივისცემაზე, საზოგადოებაში დამკვიდრებული მცდარი და ნეგატიური სოციალური რეალობა ლახავს ადამიანის ღირსებას, ვინაიდან მას, თავიდანვე არასწორი, მოძველებული და ობიექტურ რეალობასთან წინააღმდეგობაში მყოფი დასკვნები უდევს საფუძველად, განსაკუთრებით, როდესაც ამგვარი დამოკიდებულების გამოხატვა ხდება საჯარო ფუნქციის მატარებელი ადამიანების მიერ. ეს დასკვნები ეფუძნება შესაბამისი, მოცემულ შემთხვევაში, დაუნის სინდრომის მქონე პირების, როგორც არასრულყოფილი ადამიანების აღქმას, რაც განაპირობებს მათ სოციალურ იზოლაციას და უფლებებით სათანადოდ სარგებლობის შეზღუდვას. მართალია, ამ განცხადებების ავტორთა უშუალო მიზანს, შესაძლოა, არ წარმოადგენდეს დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების შეურაცხყოფა, მაგრამ მათი სტერეოტიპული შეხედულებით, ფაქტობრივად დადგა ამგვარი შედეგი. შეურაცხმყოფელია, საკუთრივ ამგვარი დამოკიდებულება, ამ სინდრომის მქონე ადამიანების მათეული აღქმა, არსებული სოციალური რეალობა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებს უსპობს საზოგადოებრივი სიკეთეებით თანაბრად სარგებლობის შესაძლებლობას.

სახალხო დამცველი შემაშფოთებლად მიიჩნევს, არა მხოლოდ, ზემოაღნიშნულ, არასწორ სტერეოტიპებზე დაფუძნებულ განცხადებებს, არამედ, ზოგადად, საჯარო პოლიტიკურ დებატებში ხშირად გამოყენებად შეურაცხმყოფელ გამონათქვამებსა და სხვადასხვა უმცირესობების წინააღმდეგ მიმართულ „სიძულვილის ენას“.

გასათვალისწინებელია, რომ საჯარო სივრცეში ძალიან ხშირია, პოლიტიკოსების მიერ ეთნიკური, რელიგიური, გენდერული და სხვა ნიშნებით დისკრიმინაციული შეფასებები, რომლებიც, ხშირად, პარლამენტის წევრების მიერ კეთდება, როგორც პარლამენტის შენობის შიგნით, ისე მის გარეთ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ზოგიერთი მსგავსი გამონათქვამი აღწეროთ და დავურთოთ წარმოდგენილ ზოგად წინადადებას.

ეთნიკური წარმომავლობა: 2016 2ლის 21 იანვარს პარლამენტის ყოფილ შენობასთან გამართულ აქციაზე შეკრებილი მოქალაქეები მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვასთან დაკავშირებულ კანონპროექტს აპროტესტებდნენ. მედიით გავრცელებული ინფორმაციით, შენობასთან მისულ თამაზ მეჭიაურს მონაწილეები სტვენითა და შემახილებით შეხვდნენ. აქციის ერთ-ერთ მონაწილეს არტურ არუთინოვს აღნიშნულის გამო დეპუტატმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ინციდენტის შემდეგ ბატონი მეჭიაური აცხადებს: „არ ვიცოდი ბატონი არტური თუ იყო, თორე... რომ მცოდნოდა, ვინ იყო, შეიძლება უფრო მაგრად...“.⁵

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური 2015 წლის 7 სექტემბერს გაზეთ „კვირის ქრონიკასთვის“ მიცემულ ინტერვიუში - „დავით ზურაბიშვილმა, რომელსაც საერთოდ არ ვიცნობ, თავის განცხადებაში „პიდარასტებთან“ ერთად, სიტყვა „სომეხიც“ ახსენა. უკაცრავად, მაგრამ ესენი ისე იქცევიან, ნებისმიერი სომეხი უკეთესია, დავით ზურაბიშვილი რომელიმე სომეხს სჯობს? ან რა შუაშია აქ სომეხი? სხვათა შორის, მე მგონი, „პიდარასტებშიც“ არიან მაგაზე ღირსეულები“.⁶

2015 წლის 9 სექტემბერი გოგი თოფაძე: ხუთმილიონ-ნახევარი ვიყავით რამდენიმე წლის წინ საქართველოში და რამე გვაკლდა? ბოსტნეული, ხილი ან საკონსერვო ნაწარმი? რატომ უნდა შემოდოდეს თურქული წიწილა, რომელზეც გვაფრთხილებენ მამაკაცებს, რომ იმპოტენციას იწვევს? უამრავი მიწა გავყიდეთ, ჩინელებზე, თურქებზე, ინდოელებზე და ირანელებზე... ჩვენ გლეხი გავაგდეთ.⁷

გია ჟორჟოლიანი: „იქ თუ რაიმე კანონის დარღვევა იყო [ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ 293ა მიწის გაყიდვაში], ნახონ. არ შეიძლება ქართველმა იყიდოს და შეიძლება, არაბმა იყიდოს?“⁸

სქესი: საპარლამენტო სხდომაზე საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ზვიად კვაჭანტირაძემ “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წევრს, მარიამ საჯაიას მიმართა სიტყვებით: “რა უნარ-ჩვევები დაგიგროვდათ ასეთი თქვენს ასაკში და რა ტექნიკას ფლობთ ისეთს, რომ ამის სანაცვლოდ შეგიყვანეს სიაში? რა ცხოვრების გზა გქონდათ ისეთი გავლილი, თუ არა თქვენი განსაკუთრებული მეგობრობა და დედათქვენის მეგობრობა მიხეილ სააკაშვილთან რომ დღეს ამ დარბაზში ზიხართ?!”

ფრაქცია ქართული ოცნების თავმჯდომარის მოადგილე სოსო ჯაჭვლიანი 2015 წლის 22 ივლისს განაცხადა: „მინდა, მოგახსენოთ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გვენატრება რუსეთი. კაკო ბობოხიძემ ბრძანა, რომ ჩვენ გვენატრება 37-მანეთიანი ბილეთები და 10-მანეთიანი ბოზეები. მე ბოზეებში არ დავდიოდი არც მაშინ და არც ახლა. ჩემთვის შეურაცხყოფელი იყო 10 მანეთის

⁵ <http://www.interpressnews.ge/sazogadoeba/363114-qara-fobiasq-mmarthveli-partiis-tsarmomadgeneltha-mkhridan-khshiria-antidasvluri-homofobiuri-ganckhadebebi.html?ar=A>

⁶ <http://liberali.ge/news/view/18349/mravalero-vani-saqartvelo-mechiauris-qsenofobiur-gantskhadebas-reagireba-unda-mohyves>, <http://liberali.ge/news/view/18221/deputati-tamaz-mechiauri-davit-zurabishvilze-pidarastebshits-arian-magaze-ghirseulebi>

⁷ <http://www.tabula.ge/ge/verbatim/99400-tofadze-mamakacebs-gvaftrixleben-rom-turquli-tsitsila-impotencias-itsvevs>

⁸ <http://notophobia.ge/geo/view-media/1324>

გადახდა. 10 მანეთის გარეშეც ვახერხებდი ამ საკითხებს. ისე, თუ ვინმე ლამაზი ქალი იყო საბჭოთა კინოში, ყველასთან ვარ ნამუშევარი 10 მანეთის გარეშე.“⁹

2015 წლის 7 ნოემბერს თამაზ მეჩიაურმა ფადი ასლის მიმართა: „შენ იმის ასლადაც ვერ გამოდექი, რაც იას სჭირდება, შენ მართლა გაუნაყოფიერებელი სპერმატოზოიდი...“¹⁰

თამაზ მეჩიაური თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელს მიმართავს: „ქალბატონია და არ მინდოდა, მისთვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა, მაგრამ, რადგან ეს ქალბატონი ყველაზე მამაკაცურ პოსტს იკავებს, თავს ვალდებულად ვთვლი, თუნდაც ორი სიტყვით ვუპასუხო- „ქალი უნდა იყოს „კუხნაში“, თუ იქ მაინც გამოდგება“.¹¹ დეპუტატმა პრემიერმინისტრ გიორგი კვირიკაშვილს ურჩია, რესპუბლიკელი თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი თანამდებობიდან გადააყენოს. მისი მოსაზრებით, არ შეიძლება, „ქალბატონს თოფი დააჭერინო ან გადაწყვეტილების უფლება მისცე.“¹²

„ალბათ, მმართველ გუნდს ეს კონცერტი აქტივში უნდოდა ჩაეწერა, მაგრამ თუნდაც ერთი უკანალის ჩვენებით ამდენი მილიონი უკუღმა შემოუტრიალდა. რამდენიმე ლგბტ ამომრჩეველი შეიძლება მათ დაემატათ, მაგრამ სამაგიეროდ სხვა ხმები დააკარგინა. სწორი მენეჯმენტი რომ ჰქონოდათ, ალბათ, ჯობდა ჯენიფერ ლოპესი ან კიმ კარდაშიანი ჩამოეყვანათ. მართალია, იქ ლგბტ-ების ხმები შესაძლოა დაეკარგათ, მაგრამ სამაგიეროდ, ასეთი ვაჟკაცების (აგერ, ოპერატორები რომ დგანან) ხმებს ნამდვილად მოიპოვებდნენ. ათეული მილიონი ასეთი იაფფასიანი შოუების მოსაწყობად ნამდვილად არ ღირდა“, - განაცხადა თამაზ მეჩიაურმა 2016 წლის 30 მაისს.¹³

სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა: 2015 წლის 16 სექტემბერს ფრაქცია ქართული ოცნების თავმჯდომარის მოადგილე სოსო ჯაჭვლიანმა განაცხადა: მინდა დავაფიქსირო სინანული და გულისტკივილი იმ ფაქტის გამო, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების დროს, ჩვენ თვითონვე ვუყარეთ კენჭი მამათმავლობას – ამ უკანონო ცხოვრების წესის დაკანონებას. ამ კანონის საფუძველზე მათ უკვე მოიპოვეს სრული უფლება, მოევიწყონ ჩვენს შვილებს პედაგოგებად სკოლებსა და ბაღებში. ამ კანონის საფუძველზე მათ უკვე მოიპოვეს სრული უფლება, თავიანთი ცხოვრების წესს გაუწიონ პროპაგანდა, აგიტაცია. ვსარგებლობ რა ჩემი სადეპუტატო მანდატით, შემოვდივარ საკანონმდებლო წინადადებით, ანტიდისკრიმინაციულ კანონში შევიტანოთ ცვლილებები - მისი ჩამონათვალიდან ამოვიღოთ მამათმავლობის განმსაზღვრელი ტერმინები – "გენდერული იდენტობა" და "სექსუალური ორიენტაცია", რათა მომავალში ვერაფრით ვეღარ დაშენდეს მასზე, იქნება ეს ერთსქესიანთა ქორწინება, ერთსქესიანი წყვილების მიერ ბავშვის აყვანა და ასე შემდეგ.¹⁴ საკუთრივ ტერმინი "მესაჯდომე" რამდენიმე თვის წინ ჰომოსექსუალთა აღსანიშნავად თავად ჯაჭვლიანმა გამოიგონა. "მესაჯდომეებს დღეიდან ვუწოდებ უმცირესობას", განაცხადა მან პირდაპირ ეთერში. ჯაჭვლიანმა ასევე აღნიშნა, რომ

⁹ <http://www.tabula.ge/ge/story/98362-soso-jachvliani-ekam-ebd-shi-rac-igulisxma-is-vupasuxe>

¹⁰ <http://www.tabula.ge/ge/verbatim/101592-mechiauri-fadi-aslis-shen-martla-gaunakofierebelo-spermatozoido>

¹¹ <http://www.timer.ge/qali-unda-ikhos-kukhnashi-thu-iq-mainc-gamodgeba-mechiauri-khidashelze/>

¹² <http://www.tabula.ge/ge/story/107588-mechiauri-xidashelze-ar-sheidzleba-qalma-tofi-daichiros-an-gadatskvatileba-miighos>

¹³ <http://liberali.ge/news/view/22889/mechiauri-robi-uiliamss-jobda-jenifer-lopesi-an-kim-kardashiani-chamoeyvanat>

¹⁴ <http://www.tabula.ge/ge/verbatim/99557-jachvliani-mamatmavlobas-kenchi-vukaret-ukanono-cxovrebis-tsisis-dakanonebas>

ამიერიდან, როგორც პარლამენტის წევრი, აპირებს მესაჯდომეთა უფლებები ისე დაიცვას, რომ "მათ რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მიიღონ ცხოვრებისგან".¹⁵

თამაზ მეჭიაური: „პლუს, დაემატებიან მაგათ ეს არასამთავრობოები, გრანტიჭამიები - რომ დადიან, სამ-ოთხ პლაკატს რომ დაატარებენ და სამ-ოთხ ჰომოსექსუალს ქალაქიდან ქალაქში.“¹⁶

თამაზ მეჭიაური: „როდესაც უმაღლესი თანამდებობის პირებზე არსებობს ისეთი კომპრომატები, რომელიც შეიძლება გამოიყენონ მათ დასაშანტაჟებლად, ეს არის დიდი საფრთხის შემცველი ქვეყნისთვის, მით უმეტეს, თუ ასეთ თანამდებობის პირებს ძალიან მნიშვნელოვან საიდუმლოებებზე აქვთ წვდომა. ისე კი, ყველას აქვს უფლება, იცოდეს, ვის ქირაობს. ჩვენ, საჯარო მოხელეები, მოსახლეობის მიერ ვართ დაქირავებული. თუ მკითხავენ, – დადიოდი თუ არა ქალებშიო, პირდაპირ ვეტყვი, – კი, დავდიოდი-თქო. მმაკაცის ცოლებში არ დავდიოდი ზოგიერთებივით. ამას რომ ვეტყვი ამომრჩეველს, მერე მათი გადასაწყვეტია, ხმას მომცემენ თუ არა.¹⁷ მაგრამ, როცა ამომრჩეველს ატყუებ და ეუბნები, ქალებში დავდივარო, სინამდვილეში კი კაცებში დადიხარ, ეს უკვე არაა სწორი საქციელი. კი ბატონო, ვინც კაცებში დადის, შეიძლება იმასაც ჰყავდეს თავისი ამომრჩეველი, მაგრამ რატომ ატყუებ ამომრჩეველს?¹⁸

2016 წლის 18 მარტს თამაზ მეჭიაურმა განაცხადა: „უბრალოდ ცინიკურია, როდესაც ქუთაისში იწყება ასეთი აქცია, იმ ქალაქში, საიდანაც დავით აღმაშენებელმა ქვეყნის გაერთიანება დაიწყო და აქედან, გაპიდარასტებას იწყებენ ზოგიერთები.“¹⁹ „საქართველოში რომ ვუყურებ, ყველაზე მეტად უმრავლესობის უფლებები იზღუდება, ანუ უმრავლესობის - ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის ხალხის. გაცილებით მეტი უფლებებით სარგებლობენ უმცირესობები ჩემი აზრით, ვიდრე უმრავლესობა. ხელოვნურად წარმოქმნილი კონფლიქტებია არარსებულ თემებზე.“²⁰

2016 წლის 5 მაისს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ წევრმა, მერაბ კაჭახიძემ პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე დამსწრე სტუმარს, კობა ბიწაძეს მიმართა: „ადამ და ევადან მოყოლებული ქალი და მამაკაცი ქმნის ახალ სიცოცხლეს, სხვა ამას ვერ იზამს. რაც შეეხება ბატონს, წვერს რომ ატარებს და ოჯახი ვერ შეუქმნია, კობა ბიწაძეს, ვურჩევდი, თუ ასე გულმხურვალედ ხართ შეყვარებული თქვენს მეორე ნახევარზე, რომელთანაც ვერანაირად ვერ ახდენთ ამის ლეგალიზებას, წადით იმ ქვეყანაში, უცხოელია ხო?“²¹

2016 წლის 17 მაისს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური ჟურნალისტებთან ლგბტ აქტივიზმის შესახებ: „ლგბტ-ს ვის უძახით?! იმეებს რომ

¹⁵ <http://www.tabula.ge/ge/story/63882-jachvliani-mesajdomeeb-umciresobas-vutsodeb>, <http://news.ge/ge/news/story/30480-soso-jachvliani-yvela-adamianis-ufleba-unda-iyos-datsuli>

¹⁶ <http://www.tabula.ge/ge/verbatim/106125-mechiauri-arasamtavroboebi-sam-otx-homosequals-qalaqidan-qalaqshi-daatareben>

¹⁷ <http://www.tabula.ge/ge/verbatim/106160-mechiauri-dzmkacis-colebshi-ar-davdiodi-zogiertebivit>

¹⁸ <http://www.tabula.ge/ge/verbatim/106166-mechiauri-tu-kacebshi-dadixar-amomrcheveli-ar-unda-moatkuo-qalebshi-davdivaro>

¹⁹ <http://liberali.ge/news/view/21595/tamaz-mechiauri-tsinikuria-rom-stored-qutaisidan-itsyeben-gapidarastebas-zogiertebi>, <http://1tv.ge/ge/news/view/120760.html>

²⁰ <http://liberali.ge/news/view/21189/mechiauri-umtsiresobebze-shishit-veraferi-utqvams-umravlesobas-yvelafers-fobias-edzakhian>

²¹ <http://liberali.ge/news/view/22382/video-merab-kachakhidzem-komitetis-skhdomezem-temidas-tsevrsv-qveynis-datovebiskem-moutsoda>

თხუპნიან საპატრიარქოს ღობეებზე?! ეგენია ლგბტ?! ეგენი არიან პიდარასტები. ლგბტ ვინ არის იცი შვილო?! რომ ერთ ადგილზე არიან და თავის ერთ ადგილს იქ უვლიან და თავისთვის იყენებენ, როგორც უნდათ, არავინ არ უშლით.“ „მოდით ეს მომაშორეთ ერთი ეს ლგბტ-ია თუ პიდარასტი. წადი შვილო, გამოიყენე როგორც გინდა. ნუ თხუპნით ნურც საპატრიარქოს და ნურც იმას და დაეტიეთ თქვენ ადგილზე რა“, - მიმართა დეპუტატმა ჟურნალისტს.²²

2016 წლის 19 მაისს თამაზ მეჩიაურმა განაცხადა: “სახალხო დამცველი მარტო იმას უყურებს, როგორ დაიცვას "ის ადგილი". მართლმადიდებლობა დაუცავს ოდესმე, როცა სიწმინდეების შებლაღვაზე იყო საუბარი? გამოვიდა და ისევ იმათ [ლგბტ აქტივისტებს] იცავს, რომ რაღაც ჯარიმა გადაახდევინონ. ჯარიმა კი არა, იქ უნდა გაესრისათ ისინი. პირდაპირ გეუბნებით. მართლმადიდებლობამ გადაარჩინა საქართველო და არა მეკურტუმეებმა.”²³

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, ნებისმიერი ადამიანის მიმართ შემწყნარებლობა და თანაბარი პატივისცემა წარმოადგენს პლურალისტური დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს. ამიტომ დემოკრატიულ საზოგადოებებში პრინციპულად აუცილებელია გარკვეული სანქციების დაწესება აზრის გამოხატვის ისეთი ფორმების მიმართ, რომლებიც ავრცელებენ, პროვოცირებას და სტიმულირებას უწევენ, ან ამართლებენ შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ სიძულვილს.²⁴

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებშიც არაერთხელ გამხდარა მსჯელობისა და შეფასების საგანი საჯარო მოხელეების მიერ ე.წ. „სიძულვილის ენის“ გამოყენება.

2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში, საქართველოს სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის განმარტებას, რომ ხელისუფლების და პოლიტიკური ინსტიტუციების, ასევე, საჯარო პირების „განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა თავი შეიკავონ იმგვარი განცხადებებისაგან, განსაკუთრებით მედიის საშუალებით, რომლებიც შესაძლოა, მიჩნეულ იქნეს სიძულვილის ენად.“²⁵ ამასთან, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას განმარტებით, განსაკუთრებით პრობლემატური და საყურადღებოა საჯარო პირების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენება; საპარლამენტო ასამბლეას თანახმად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არა მხოლოდ ეფექტიანად დაიცვან გაცხადებული ადამიანის უფლებები, არამედ, ასევე, თავი შეიკავონ ისეთი აზრების გამოხატვისგან, რომლებიც ახდენენ დისკრიმინაციის ან შეუწყნარებლობის ლეგიტიმაციას და ხელშეწყობას.²⁶

სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სიძულვილის ენა არ არის დაცული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით; საქართველოს საკონსტიტუციო

²² <http://liberali.ge/news/view/22602/tamaz-mechiauris-homofobiuri-gantskhadeba-da-dapirispireba-zhurnalistan>
²³ <http://www.tabula.ge/ge/verbatim/107867-mechiauri-lgbt-aqtivistebze-jarima-ki-ara-unda-gaesrisat-isini>

²⁴ ECtHR, *Erbakan v. Turkey*, 59405/00, 06.07.2006, §56

²⁵ 1997 წლის 30 ოქტომბრის რეკომენდაცია 97(20), 2014 წლის სახალხო დამცველის ანგარიშიდან, გვ. 362

²⁶ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2010 წლის 29 აპრილის რეზოლუცია 1728 (2010) სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ, პარ. 7, 2014 წლის სახალხო დამცველის ანგარიშიდან, გვ. 362

სასამართლოს მიდგომის თანახმად, სიტყვის და აზრის თავისუფლება არ განეკუთნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას და სასამართლო ითვალისწინებს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას, იმ შემთხვევებში, თუ გამოხატვის თავისუფლება ლახავს სხვათა უფლებებს.²⁷ ანგარიშში მითითებულია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ მოქმედებს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და დასაგმობია ნებისმიერი ისეთი შემთხვევა, როდესაც მათ მიერ გაკეთებული შეფასებები ძალადობრივი ქმედების წახალისებას უწყობს ხელს. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ მსგავსი განცხადებები ხელს უშლის ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებას, ვინაიდან, დემოკრატიულ სახელმწიფოში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღირებულებას სწორედ განსხვავებული აზრის პატივისცემა, გამოხატვის თავისუფლების სრულყოფილი რეალიზაცია და სიძულვილის ენის დაუშვებლობა წარმოადგენს.²⁸

ანგარიშში განხილულია ორგანიზაცია „იდენტობის“ საქმე, სადაც სახალხო დამცველმა განმარტა, რომ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სახელმწიფო თანამდებობის პირია, რომელიც მონაწილეობს საჯარო პოლიტიკის ფორმირების პროცესში, შესაბამისი პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოების წინაშე და, რომ პირველ რიგში, სწორედ მსგავსი პირები უნდა იყვნენ მოწოდებულები განსხვავებული აზრის მიმართ დანერგონ პლურალისტური და შემწყნარებლური პოლიტიკა.

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში, საქართველოს სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პოლიტიკოსების მხრიდან სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები უარყოფითად აისახება ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე. აუცილებელია საჯარო პირების მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება და სიძულვილის ენის შემცველ მათ განცხადებებზე საზოგადოების ადეკვატური რეაგირება.

მხედველობაშია მისაღები, რომ ზემოთ განხილული განცხადებები გაკეთებულია პარლამენტის მოქმედი წევრების მიერ, მათ შორის, მათი, როგორც პარლამენტარის ფუნქციის განხორციელებისას. მართალია პარლამენტის წევრი, ერთ მხრივ, არის ცალკეული პირი, მაგრამ, იგი, როგორც პარლამენტარი წარმოადგენს ქვეყნის უმთავრეს ინსტიტუციას. მოცემულ შემთხვევაში, მისი ნებისმიერი განცხადება უნდა იქნეს განხილული, როგორც საპარლამენტო ფუნქციის განმახორციელებელი პირის განაცხადი.

უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, ცალკეული პარლამენტარების განცხადებები, მაშინაც კი, თუ ისინი გაკეთებულია მათ მიერ უშუალოდ საპარლამენტო ფუნქციების განხორციელებისას (in strict sense), არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც პარლამენტის პოზიცია, მიუხედავად ამისა, სიძულვილის ენის გამოყენება, განსაკუთრებით, პარლამენტის სხდომაზე არ შეიძლება იქნეს აღქმული პარლამენტის, როგორც ინსტიტუციის პასუხისმგებლობის მიღმა, მაშინ, როდესაც ამგვარი ენის გამოყენება ხდება საპარლამენტო ფუნქციის განხორციელებისას. შეიძლება ითქვას, რომ იმუნიტეტი წარმოადგენს პარლამენტარის, როგორც საჯარო პოლიტიკურ-სამართლებრივი

²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება N2/1/214, პ.1, 2014 წლის სახალხო დამცველის ანგარიშიდან, გვ. 362

²⁸ 2014 წლის სახალხო დამცველის ანგარიშიდან, გვ. 363

სუბიექტის პრივილეგიას, რომლის მიზანია პარლამენტის დემოკრატიული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ამ პრივილეგიის ბოროტად გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს პარლამენტის, როგორც ინსტიტუციის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართულ ქმედებას და მის ბოროტად გამოყენებას.

ბ. პარლამენტის წევრის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი და იმუნიტეტი

როგორც უკვე აღინიშნა, განსახილველი შემთხვევები უკავშირდება საქართველოს პარლამენტის მოქმედი წევრების მიერ გაკეთებულ, დისკრიმინაციის წამახალისებელ განცხადებებს. მხედველობაშია მისაღები, რომ პარლამენტის წევრებს საქართველოს კონსტიტუციის და „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გააჩნიათ განსაკუთრებული პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი, რომელიც მათ გამოხატვის უფრო ფართო თავისუფლებით აღჭურავს, ვიდრე ეს სხვა ადამიანებისთვის არის გარანტირებული. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-4 პუნქტი განსაზღვრავს, რომ „პარლამენტის წევრი პასუხისმგებლობაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის“. მსგავსი შინაარსის დებულებას შეიცავს „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივად დგება იმის შეფასების საჭიროება, თუ სადამდე ვრცელდება პარლამენტის წევრთა სიტყვის თავისუფლება. მხოლოდ ამ საკითხის სათანადო გაანალიზების საფუძველზეა შესაძლებელი, საპარლამენტო პოლიტიკურ დებატებში მონაწილე პოლიტიკოსების გამონათქვამებთან მიმართებით, საქართველოს სახალხო დამცველის, როგორც დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმის კომპეტენციის ფარგლების განსაზღვრა.

როგორც უკვე ითქვა, საქართველოს კონსტიტუციის და შესაბამისი კანონის დებულებები განსაზღვრავენ საქართველოს პარლამენტის წევრის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დაცვის, მაშასადამე, სამართლებრივი იმუნიტეტის მექანიზმს, მისი, როგორც პარლამენტის წევრის მოვალეობის შესრულებისას, პარლამენტის შენობაში თუ გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის.

პარლამენტის წევრის მიერ გაკეთებული განცხადებების ან კენჭისყრისას დაკავებული პოზიციის გამო სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ინსტიტუტს აღიარებს თანამედროვე სახელმწიფოების უმეტესობა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა სახელმწიფოში ამ ინსტიტუტის ძირითადი არსი ერთნაირია, სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებული ტერმინები გამოიყენება. ასე, მაგალითად, ინგლისურენოვან სახელმწიფოებში, ძირითადად, იყენებენ „არა-პასუხისმგებლობის“ (non-accountability), „საპარლამენტო პრივილეგიის“ („parliamentary privilege“), ან, უბრალოდ „სიტყვის თავისუფლების“ („freedom of speech“) ტერმინებს. საფრანგეთსა და ბელგიაში ეს ინსტიტუტი მოიხსენიება, როგორც „irresponsabilité“, იტალიაში – „insindacabilità“. გერმანიაში მას უწოდებენ ინდემნიტეტს („Indemnität“), ან პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას, ავსტრიაში მას ეწოდება „პროფესიული იმუნიტეტი“ („berufliche Immunität“), ხოლო, შვეიცარიაში კი, აბსოლიტური

იმუნიტეტი ("absolute Immunität", "immunité absolue"). საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა ამ კონცეფციის აღსანიშნავად არ იყენებს რაიმე სპეციალურ ტერმინოლოგიას, იგი, ერთი მხრივ მიუთითებს, თუ რა შემთხვევაში არ შეიძლება პარლამენტის წევრი მიეცეს პასუხისგებაში, ხოლო, მეორე მხრივ, უბრალოდ განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებათა ჩამონათვალს, რომლებიც დეპუტატთან მიმართებით, შეიძლება განხორციელდეს, მხოლოდ, პარლამენტის თანხმობით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-4 პუნქტი პარლამენტის წევრს აღჭურავს აზრის გამოხატვის უფრო ფართო თავისუფლებით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია კონსტიტუციის 24-ე მუხლით დადგენილი ინდივიდუალური უფლებისათვის. კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.“ კონსტიტუციის იგივე მუხლის მე-4 პუნქტი კი, ითვალისწინებს სიტყვის თავისუფლების კანონით შეზღუდვას ისეთი პირობებით, „...რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“ ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციის 52-ე მუხლი სიტყვის თავისუფლების დაცვის განსხვავებულ ფარგლებს ითვალისწინებს.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და 52-ე მუხლებით დაცულ, შესაბამის უფლებებს შორის არსებულ, ზემოაღნიშნულ განსხვავებაზე მიუთითებს, ასევე, ვენეციის კომისიაც (ევროპის საბჭოს „დემოკრატიისაკენ სამართლის მეშვეობით“ კომისია) თავის 2014 წლის 14 მაისის ანგარიშში, რომელიც შეეხება საპარლამენტო იმუნიტეტის საკითხებს. კერძოდ, დეპუტატის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, ანგარიშის 86-ე პუნქტში აღნიშნულია, რომ სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან პარლამენტარის განთავისუფლების მიზანს ***წარმოადგენს პარლამენტის დემოკრატიული ფუნქციონირების და არა მისი ცალკეული წევრების ინდივიდუალური პრივილეგიების უზრუნველყოფა.*** ვენეციის კომისიის თანახმად, ეს გარემოება პარლამენტის წევრის გამოხატვის თავისუფლების დაცვას, გარკვეულწილად, განასხვავებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული ინდივიდუალური უფლების დაცვისაგან. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს იმას, რომ, მოცემულ შემთხვევაში, გამოხატვის უფლების დაცვის ფარგლების სამართლებრივი შეფასებაც განსხვავებულ ჭრილში უნდა მოხდეს.²⁹

ვენეციის კომისიის განცხადებით, ხალხის არჩეული წარმომადგენლების აზრისა და გამოხატვის თავისუფლება არის „ნამდვილი დემოკრატიის გასაღები.“³⁰ უფრო მეტიც, როგორც ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალითაა აღიარებული, საპარლამენტო იმუნიტეტი ემსახურება პარლამენტში თავისუფალი სიტყვის დაცვის და საკანონმდებლო და სასამართლო

²⁹ European Commission For Democracy Through Law (VENICE COMMISSION), REPORT ON THE SCOPE AND LIFTING OF PARLIAMENTARY IMMUNITIES Adopted by the Venice Commission at its 98th plenary session (Venice, 21-22 March 2014), Strasbourg, 14 May 2014, Study No. 714 / 2013, § 86

³⁰ იქვე, § 80

სისტემებს შორის ძალაუფლების გამიჯვნის კანონიერ ინტერესებს. შესაბამისად, ეს პრივილეგია არ შეიძლება იქნეს შეფასებული, როგორც მესამე პირების მხრიდან, დეპუტატების წინააღმდეგ, მათი განცხადებების გამო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არაპროპორციული შეზღუდვა.³¹

ასევე უნდა აღნიშნოს, რომ საპარლამენტო იმუნიტეტის ინსტიტუტი, ისტორიულად განვითარდა მაშინ, როდესაც გამოხატვის თავისუფლება არ წარმოადგენდა სათანადოდ გარანტირებულ უფლებას და, როდესაც, პარლამენტის წევრები უფრო მეტად საჭიროებდნენ აღმასრულებელი, თუ სასამართლო ხელისუფლებისაგან განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის გარანტიებს. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის თავისუფლება, ამჟამად, გაცილებით უფრო ეფექტურად არის დაცული, ვიდრე ეს, თუნდაც ევროპული კონვენციის მიღების დროს იყო, ვენეციის კომისიის თანახმად, საპარლამენტო იმუნიტეტის შესახებ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესები კვლავ წარმოადგენს კონსტიტუციური სამართლის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს, რომელთა არსებობაც გამართლებულია დემოკრატიულად არჩეულ წარმომადგენლობით ორგანოში თავისუფალი პოლიტიკური დებატების განსაკუთრებული საჭიროებით.³²

შესაბამისად, ვენეციის კომისიის მიხედვით, პარლამენტში სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფა იმდენად არსებითია, რომ იგი, შესაძლოა, სცდებოდეს ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური თავისუფლების ფარგლებსაც კი. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც უკვე ითქვა, **საპარლამენტო იმუნიტეტის მიზანს წარმოადგენს პარლამენტის დემოკრატიული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და იგი არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც პარლამენტის წევრთა ინდივიდუალური პრივილეგია.** ზუსტად ეს განასხვავებს ამ პრივილეგიის დაცვას ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული, ინდივიდუალური უფლების დაცვისაგან.³³

როგორც ვენეციის კომისიის ანგარიშშია აღნიშნული, საპარლამენტო იმუნიტეტის კონსტიტუციურ დონეზე განსაზღვრა, უზრუნველყოფს ამ პრივილეგიის პრაქტიკაში უფრო ეფექტურ დაცვას, ვიდრე ამას, შეიძლება ითვალისწინებდეს ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი.³⁴ ზუსტად ამგვარმა მიდგომამ განაპირობა, რომ საქართველოს კონსტიტუცია სპეციალური ნორმით (52-ე მუხლის მე-4 პუნქტით) უზრუნველყოფს პარლამენტარს ამ პრივილეგიით, რაც, თავის მხრივ, განასხვავებს მას კონსტიტუციის 24-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური უფლების დაცვის ინტენსიობისაგან.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვენეციის კომისიის განცხადებით, მხოლოდ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით, ისევე, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მხოლოდ 24-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის გარანტიები ვერ დაიცავენ პარლამენტარს მის მიერ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებების თაობაზე, პოტენციურად გაუთავებელი სამართლებრივი დავებისაგან, რომელიც შეიძლება ინიცირებული იქნეს, როგორც

³¹ *A. v. United Kingdom*, no. 35373/97, 17.12.2002, § 77, 83

³² European Commission For Democracy Through Law (VENICE COMMISSION), REPORT ON THE SCOPE AND LIFTING OF PARLIAMENTARY IMMUNITIES Adopted by the Venice Commission at its 98th plenary session (Venice, 21-22 March 2014), Strasbourg, 14 May 2014, Study No. 714 / 2013, § 82

³³ იქვე, § 85-86

³⁴ იქვე, § 87

აღმასრულებელი ხელისუფლების, ისე საზოგადოების სხვა წევრების მხრიდან. ამგვარ სამართლებრივ დავებს, *de facto*, შეუძლიათ შეზღუდონ პარლამენტარების მიერ საკუთარი შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება იმდენად, რომ ეჭვის ქვეშ დადგეს სადეპუტატო მანდატის ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა. ამიტომ, პარლამენტის წევრის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების წესები უზრუნველყოფენ პარლამენტის წევრების დაცვას პოლიტიკური ოპონენტების, აღმასრულებელი ხელისუფლების და საზოგადოების სხვა წევრების სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი დევნისგან.³⁵

როგორც ვენეციის კომისიის ანგარიშშია აღნიშნული, პარლამენტის წევრის იმუნიტეტი, რომელიც იცავს მის გამოხატვის თავისუფლებას, არ უნდა სცდებოდეს საკანონმდებლო ორგანოს დემოკრატიული ფუნქციონირების დაცვის მიზნისთვის გათვალისწინებულ ფარგლებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამგვარი პრივილეგია არ იცავს დეპუტატის, როგორც კერძო პირის ქცევას და განცხადებებს.³⁶ მაშასადამე, საუბარია პარლამენტარების ისეთ განცხადებებზე, რომლებიც სცდება მათი სადეპუტატო მანდატით გათვალისწინებულ ფუნქციებს.

ამ განსხვავებაზე მიუთითა, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომელშიც სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა, როდესაც დაზარალებულს შეეზღუდა უფლება, სასამართლოში გაესაჩივრებინა პარლამენტის მოქმედი წევრის მიერ „ირონიული“ და „დამცინავი“ წერილის გაგზავნის მეშვეობით მიყენებული შეურაცხყოფა და ამით დაეცვა შელახული ღირსება. ევროპული სასამართლოს აზრით, პარლამენტის წევრის ამგვარი საქციელი უფრო მეტად შეესაბამებოდა პირად წყენას და ამ ვითარებაში, არ იყო სწორი განმცხადებლისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ეს პირადული წყენა შეიძლება ყოფილიყო პოლიტიკურად მოტივირებული ან დაკავშირებული პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებასთან.³⁷ აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ იტალიის სენატის გადაწყვეტილება, რომლითაც შესაბამის დეპუტატს შეუნარჩუნდა იმუნიტეტი, არღვევდა სამართლიან ბალანსს პარლამენტის სათანადოდ ფუნქციონირების საჯარო ინტერესსა და ცალკეული პირების ძირითად უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის ინტერესს შორის.

ამრიგად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, წმინდა *ფორმალური მიდგომის* პარალელურად, ჩამოაყალიბა, ერთგვარი, *„ფუნქციონალური მიდგომა“*, რომელიც ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით, გარკვეულ, ფუნქციონალურ ზღვარს უდგენს ამგვარ სადეპუტატო იმუნიტეტს.³⁸

მიუხედავად იმისა, რომ ვენეციის კომისია დაეთანხმა ევროპული სასამართლოს ე.წ. „ფუნქციონალურ მიდგომას“, იმ საკითხის გადაწყვეტა, იქნება იმუნიტეტი აბსოლუტური თუ იარსებებს გარკვეული გამონაკლისები, კომისიის აზრით, სრულად ექცევა „ეროვნული

³⁵ იქვე, § 88

³⁶ იქვე, § 90

³⁷ ECtHR, *Cordova v. Italy*, no. 40877/98, 30.01.2003, § 62

³⁸ European Commission For Democracy Through Law (VENICE COMMISSION), REPORT ON THE SCOPE AND LIFTING OF PARLIAMENTARY IMMUNITIES Adopted by the Venice Commission at its 98th plenary session (Venice, 21-22 March 2014), Strasbourg, 14 May 2014, Study No. 714 / 2013, § 91

(კონსტიტუციური) კანონმდებლის თავისუფალი შეფასების ფარგლებში³⁹ თუმცა, ვენეციის კომისიის განცხადებით, იმ სახელმწიფოებში, სადაც საპარლამენტო იმუნიტეტი სამართლებრივი დევნიდან ასევე იცავს პარლამენტარების განსაკუთრებით მძაფრ და შეურაცხმყოფელ განცხადებებს (ისეთს, როგორცაა, მაგალითად, „სიძულვილის ენა“), მინიმუმ **უნდა არსებობდეს შიდა საპარლამენტო წესები და დისციპლინური სანქციები, რომლებსაც პარლამენტი თვითონ გამოიყენებს საკუთარი წევრების წინააღმდეგ, საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსების მიზნით.**⁴⁰

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, როგორც ვენეციის კომისიის დასკვნაშია აღნიშნული, საპარლამენტო იმუნიტეტი, რომელიც შეეხება პარლამენტის წევრის გამოხატვის თავისუფლებას, პრინციპში, შეიძლება იყოს აბსოლუტური. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მას არ ექნება აბსოლუტური ხასიათი, მაშინ, კომისიის აზრით, შეზღუდვა, მიზანშეწონილია, განხორციელდეს ორი ფორმით. კერძოდ, **ერთ შემთხვევაში, შესაძლებელია კანონით დადგინდეს სპეციალური გამონაკლისები. ამ შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება სასამართლოს წინაშე საქმის აღძვრა, ან საჩივრის შეტანა, რის შემდეგაც, სასამართლო, კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, გადაწყვეტს ექცევა თუ არა გასაჩივრებული გამონათქვამები პრივილეგიით დაცული სიტყვის თავისუფლების ფარგლებში** (ამის შემდეგ, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ განცხადებები სცდება დადგენილ ფარგლებს, მაშინ იგი საქმეს გადაწყვეტს, მათ შორის, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად). ვენეციის კომისია, პირველი საშუალების ერთგვარ ალტერნატივად განიხილავს, **ისეთ მოდელს, რომლის თანახმად, არსებობს სადეპუტატო იმუნიტეტის განმსაზღვრელი ზოგადი საკანონმდებლო ნორმა, თუმცა, გათვალისწინებულია პარლამენტის მიერ მისი მოხსნის შესაძლებლობა.**⁴¹

მიუხედავად იმისა, რომ ვენეციის კომისია ზემოაღნიშნულ ორივე საშუალებას ლეგიტიმურად მიიჩნევს, იგი ერთგვარ უპირატესობას, მაინც იმ მოდელს ანიჭებს, რომლის მიხედვით, გამონაკლისები დადგენილი იქნება კანონით და დაექვემდებარება სასამართლო კონტროლს. კომისიის ამგვარი მიდგომა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ პარლამენტის მიერ საკუთარი წევრის იმუნიტეტის მოხსნის საკითხის გადაწყვეტა, უმეტეს წილად, არის პოლიტიკურად მოტივირებული პროცესი. ამიტომ, კომისია მიიჩნევს, რომ პარლამენტარის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის პირობები, უმჯობესია, დადგინდეს კანონით და ყოველ სადავო შემთხვევაში სასამართლო განსჯის საგანი გახდეს.⁴²

მოცემული ანალიზის ფარგლებში, განსაკუთრებით საინტერესოა, ასევე, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) რეკომენდაციები. კერძოდ, სიძულვილის ენის გამოყენების პრევენციის მიზნით, წევრ სახელმწიფოებს მიმართა რეკომენდაციით, რომლის თანახმად, სიძულვილის ენის გამოყენებისაგან თავის შეკავება განსაკუთრებით მართებთ საჯარო პირებსა და საჯარო მოხელეებს, განმანათლებლებსა და პედაგოგებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ორგანოებს, რომელთა საქმიანობის პრიორიტეტსაც

³⁹ იქვე, § 93

⁴⁰ იქვე

⁴¹ იქვე, § 95

⁴² იქვე, § 96

თანასწორობის უფლების დაცვა წარმოადგენს, და ზოგადად, ადამიანის უფლებათა ინსტიტუციებს.⁴³ ამავე რეკომენდაციის თანახმად, საჯარო პირების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენება უპირობოდ საჭიროებს მკაცრ რეაგირებას, რათა, მათი როგორც საზოგადოებასთან ახლოს მდგომი პირების მიერ გამოთქმულ ფრაზებს არ გამოუჩნდეს მიმზადველები.⁴⁴

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის თავჯდომარის, ქრისტინ ალუნდის განმარტებით, „პოლიტიკოსები, რელიგიური თუ საზოგადოებრივი გაერთიანებები განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენენ საზოგადოების ცნობიერებაზე, შესაბამისად, მათ არა მხოლოდ თავი უნდა აარიდონ სიძულვილის ენის გამოყენებას, არამედ, მათ აკისრიათ ვალდებულება თავიანთი საჯარო გამოსვლებით აქტიურად შეეწინააღმდეგონ ამგვარი ენის გამოყენებას“. გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს სიძულვილის ენის ადრესატის პრაქტიკული მხარდაჭერა, კერძოდ, მათი უფლებების შესახებ ინფორმირებით, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური დახმარებით, სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების გამოაშკარავებით და სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.⁴⁵

საქართველოს შესახებ მოხსენებაში,⁴⁶ ECRI ხელისუფლებას რეკომენდაციით მიმართავს, შექმნას რასისტული შინაარსისა და ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენის მონიტორინგის ქმედითი სისტემა; ასევე მიუთითებს, რომ აღნიშნულის საფუძველად გამოდგება სახალხო დამცველისა და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტული ცოდნა. ამავე დოკუმენტის თანახმად, 2014 წლის თებერვლიდან მაისამდე პერიოდში განხორციელებულ პოლიტიკურ გამოსვლათა მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველა მთავარი პოლიტიკური პარტიის წევრი მიმართავს სიძულვილის ენას,⁴⁷ რაც დასტურდება მაღალი რანგის პოლიტიკოსთა მხრიდან მსგავსი შინაარსის მატარებელი განცხადებების კონკრეტულ შემთხვევებზე მითითებით.⁴⁸

შესაბამისად, ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ პარლამენტის რეგლამენტში შეტანილ იქნეს დებულება, რომელიც აკრძალავს რასისტულ და ჰომო/ტრანსფობიურ შეურაცხყოფას და გაითვალისწინებს ზომებს ან/და სანქციებს მისი დარღვევის შემთხვევაში. გარდა ამისა, ECRI რეკომენდაციას უწევს ყველა პოლიტიკურ პარტიას, მყარი პოზიცია დაიკავოს რასისტული და ჰომო/ტრანსფობიური დისკურსის წინააღმდეგ.⁴⁹

ზემოაღნიშნული ანალიზის და საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, შეგვიძლია განვსაზღვროთ საქართველოს პარლამენტის წევრის გამოხატვის თავისუფლების ზოგადი ფარგლები. როგორც, კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-4 პუნქტშია აღნიშნული, „პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის“. **ამრიგად, კონსტიტუციურ ნორმაში საუბარია, პარლამენტის წევრის მიერ მხოლოდ მისი „მოვალეობის შესრულებისას“ მოქმედ, მაშასადამე, ერთგვარ, ფუნქციონალურ იმუნიტეტზე.**

⁴³ ECRI, GENERAL POLICY RECOMMENDATION NO. 15 ON COMBATING HATE SPEECH, მიღებული: 08/12/2015

⁴⁴ იქვე, §189

⁴⁵ იხ. ბმული: <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&id=2427303&Site=DC&direct=true>

⁴⁶ ECRI, მოხსენება საქართველოს შესახებ (მონიტორინგის მეხუთე ციკლი), 2015 წლის 8 დეკემბერი, §24

⁴⁷ იქვე, §25

⁴⁸ იქვე, §§25-33

⁴⁹ იქვე, §46

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-4 პუნქტი საუბრობს დეპუტატის მხოლოდ „მოვალეობის შესრულებისას“ მოქმედ იმუნიტეტზე, კონსტიტუციური ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, რთულია იმის განჭვრეტა, თუ რა უნდა ვიგულისხმოდ პარლამენტარის მიერ „მოვალეობის შესრულებაში“. განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როდესაც, დეპუტატის თითქმის ყველა საჯარო გამოსვლა დაკავშირებულია მისი, როგორც პარლამენტის წევრის პოლიტიკურ საქმიანობასთან. გარდა ამისა, კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-4 პუნქტის ლექსიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ დაიცვას დეპუტატის, მათ შორის, ისეთი აზრების და შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება, რომლებიც, სხვა შემთხვევაში, შესაძლოა გამხდარიყო შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტი. ამრიგად, არ არსებობს მექანიზმი, რომელიც დაიცავდა პარლამენტარის ამ პრივილეგიას მისი ბოროტად და იმ ღირებულებების საწინააღმდეგოდ გამოყენებისაგან, რომლებსაც ეფუძნება საპარლამენტო დემოკრატია და რისთვისაც არსებობს პარლამენტის წევრის იმუნიტეტი.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მისი განსასაზღვრი არ არის, თუ რა იგულისხმება კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ სადეპუტატო „მოვალეობის შესრულებაში“ და, შესაბამისად, სად გადის პარლამენტის წევრის გამოხატვის თავისუფლების ზღვარი. სახალხო დამცველისათვის ზოგადად მიუღებელია პოლიტიკურ დისკურსში „სიძულვილის ენის“ გამოყენება, მიუხედავად იმისა, ექცევა თუ არა იგი პარლამენტარის სიტყვის თავისუფლების ფარგლებში. ამდენად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მომზადებული, წინამდებარე ზოგადი წინადადების მიზანს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის დაინტერესება ამ საკითხით და ერთობლივად, ისეთი მექანიზმების შექმნაზე მუშაობის ინიცირება, რომელიც საპარლამენტო დებატებში მაქსიმალურად შეამცირებს „სიძულვილის ენის“ გამოყენებას, ისე, რომ არ დაზიანდეს ამ დებატებში მონაწილე პარლამენტარების გამოხატვის თავისუფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიმართავს საქართველოს პარლამენტს შემდეგი ზოგადი წინადადებებით:

- განიხილოს საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული, პარლამენტის წევრის „მოვალეობის შესრულების“ ცნების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრის შესაძლებლობა;
- პარლამენტის წევრის „მოვალეობის შესრულების“ ცნების განსაზღვრის შემთხვევაში, განიხილოს, „მოვალეობის შესრულების“ ფარგლებს გარეთ გაკეთებული შეურაცხმყოფელი, „სიძულვილის ენის“ შემცველი განცხადებების, ან დანაშაულებრივი მოწოდებების გამო პარლამენტის წევრის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მექანიზმის შექმნის შესაძლებლობა;

- სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მექანიზმის და მისი განხორციელების ფორმების შექმნა მოხდეს ვენეციის კომისიის შესაბამის ანაგარიშში განხილული მოდელების (სასამართლოს, ან პარლამენტის მიერ იმის განსაზღვრა ექცევა თუ არა პარლამენტარის გამონათქვამი მისი ინდემნიტეტის ფარგლებში) გათვალისწინებით.

გთხოვთ, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის თანახმად, მაცნობოთ თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე.

პატივისცემით,